# წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 119240892**

თარიღი:**29/03/2024**

***წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003876) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,მონომშენთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ***

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა,***

1. მიეცეს თანხმობა წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ანზორ ხინიკაძეს წალკის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003876) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „მონომშენთან“ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი